დანართი №5

დამტკიცებულია

სადისერტაციო საბჭოს 2024 წლის 20 ნოემბრის #4 გადაწყვეტილებით

შეფასების კრიტერიუმები და უწყისი საექსპერტო კომისიისა და რეცენზენტთათვის

1. სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზა

1.1.სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, განსაზღვრავს საექსპერტო კომისიას არანაკლებ ორი წევრის შემადგენლობით. საექსპერტო კომისიის წევრი შეიძლება იყოს, თეოლოგიის (ღვთისმეტყველების) ან დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თსასუ-ის აკადემიური პერსონალი (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია იმავე კვალიფიკაციის მქონე პირის მოწვევა). საექსპერტო კომისიას ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

1.2. სადოქტორო ნაშრომის ექსპერტის დასკვნისა და შეფასების უწყისის მიხედვით შესრულებული საექსპერტო კომისიის შეფასება უნდა იყოს წარმოდგენილი კომისიის წევრების მიერ შესაბამისი მასალების მიღებიდან ოცდაათი კალენდარული დღის ვადაში. დათქმული ვადის არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს კომისიის სხვა შემადგენლობას (იხ. *დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება*, მუხ. 12.3)

2. შემფასებლები (რეცენზენტები)

2.1. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე, სადოქტოროპროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, გამოყოფს ორ შემფასებელს (რეცენზენტს) და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

2.2. სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს თეოლოგიის (ღვთისმეტყველების) დოქტორის ან/და დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროს აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და აღნიშნული მიმართულებით უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს, სულ მცირე, სამი ნაშრომი რეცენზირებად სამეცნიერო ბაზებში ან ჟურნალებში. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა

თანაავტორი ან დოქტორანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი. რეცენზენტთა რაოდენობა არის მინიმუმ ორი. მათგან მინიმუმ ერთი უნდა იყოს მოწვეული. რეცენზენტებთან დაკავშირებული საკითხები და სამუშაო სპეციფიკა განისაზღვრება დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

3. საექსპერტო კომისიისა და რეცენზენტთა შეფასება

3.1.ექსპერტისა და რეცენზენტის შეფასება ხორციელდება შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე (იხ. დანართი N1), რაც აისახება შეფასების უწყისში (იხ. დანართი N2).

3.2.დადებითი შეფასება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ თითოეული კრიტერიუმი მინიმუმ „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

3.3. დადებითი შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ ექსპერტისა თუ რეცენზენტის შენიშვნების (არსებობის შემთხვევაში) გაცნობიდან არაუგვიანეს 5სამუშაო დღის ვადაში, დოქტორანტი ვალდებულია შესაბამის კათედრაზე წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია ან/და ჩასწორებული ნაშრომი.

3.4. დოქტორანტის არგუმენტირებული პოზიციის არსებობის შემთხვევაში, კათედრა დანიშნავს სხდომას სადისერტაციო ნაშრომში არსებული შენიშვნების განსახილველად, სადაც უნდა მოიწვიონ დოქტორანტი, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი და ექსპერტ(ებ)ი/რეცენზენტ(ებ)ი.

3.6.ჩასწორებული ნაშრომის წარმოდგენის შემთხვევაში (რასაც თან ერთვის დოქტორანტის განცხადება შენიშვნების გათვალისწინების შესახებ), ის გადაეცემა შესაბამის ექსპერტს/რეცენზენტს, ვინც უნდა წარმოადგინოს დასკვნა დოქტორანტის მიერ შენიშვნების გათვალისწინების შესახებ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (რეცენზენტის შემთხვევაში).

3.7. ჩასწორებული სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი გაცნობის შემდეგ, ექსპერტის/რეცენზენტის მხრიდან ნაშრომთან დაკავშირებით იგივე შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დადგეს დოქტორანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხი.

<u>ინსტრუქცია:</u>

1. **შეფასების სკალა**

შემფასებელი ხელმძღვანელობს შეფასების ოთხდონიანი სკალით, რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად:

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - კრიტერიუმი შეფასებულია, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ კვლევისას გამოყენებული მიდგომები და ნაშრომში წარმოჩენილი შედეგები სრულად უპასუხებს კრიტერიუმის მოთხოვნებს;

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ ნაშრომი იძლევა შესაძლებლობას კრიტერიუმის შესაბამისი შედეგების წარმოჩენისა, თუმცა ნაშრომს შესაძლებელია ჰქონდეს სუსტი მხარეებიც, რომელთა დაძლევა შესაძლებელი იქნება მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 6 თვისა);

ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზე აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს, ასევე, აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევად საჭირო დრო და რესურსი სცდება ნაშრომის გასწორებისათვის სადოქტორო პროგრამითა და რეგულაციებით განსაზღვრულ დროს.

არ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება როგორც, „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს.

გთხოვთ, განსაზღვროთ შეფასება მითითებული კრიტერიუმების გამოყენებით, შეფასების შესაბამისი სკალების მიხედვით.

2. **შემფასებლის დასკვნა**

შემფასებელი თემას აფასებს კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით, წარმოადგენს არგუმენტირებულ დასკვნას, ხოლო კრიტერიუმიდან გამომდინარე ყურადღებას ამავილებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სასურველია, შემფასებლის დასკვნა თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებით, არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

1. საკვლევი თემის აქტუალურობა - საკვლევი თემა აქტუალურია. კვლევა მიზნად ისახავს კონკრეტული მეცნიერული პრობლემატიკის გადაწყვეტას და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის ახალი/ინოვაციური გზები, რაც მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისთვის და პასუხობსდარგთან დაკავშირებულ თანამედროვე გამოწვევებს

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

2. ნაშრომის სტრუქტურა - სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია. სტრუქტურა შეესაბამება დოქტორანტის ინსტრუქციის მოთხოვნებს და მოიცავს ყველა სავალდებულო თავს

შესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

3. კვლევის მეთოდოლოგიის ადეკვატურობა - გამოყენებული კვლევის მეთოდები არის სადოქტორო ნაშრომში დასახული მიზნების შესაბამისი. კვლევა დაგეგმილია სათანადოდ და იძლევა მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებას. კვლევა ლოგიკური და თანმიმდევრულია

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

4. კვლევის ხარისხი - ჩატარებული კვლევა სიღრმისეულია, მოცემული საკითხი სიღრმისეულად არის შესწავლილი, მიღებულია ამომწურავი პასუხები

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

5. სადოქტორო კვლევის მიზნები- მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. მისი მიღწევის გზები გამოკვეთილია, თითოეული მათგანი მიღწევადი და გაზომვადია

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

6. ლიტერატურისა და წყაროების დამუშავება - საკვლევთემასთან მიმართებით გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები საკვლევი თემისა და დასმული სამეცნიერო პრობლემატიკის ადეკვატურია. სიღრმისეულად განხილულია კვლევის განხორციელებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ლიტერატურა და ყველა წყარო, დამოწმებულია შესაბამისი ქართული და უცხოენოვანი თანამედროვე მასალა

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

7. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე - განხორციელებული კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია შედეგები, რაც სამეცნიერო სიახლეა

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

8. დასკვნების შესაბამისობა კვლევის საგანსა და მიზნებთან - კვლევის შედეგად მიღებულია შესაბამისი დასკვნები, რომელიც უკავშირდება ნაშრომის მიზნებს, არის ლოგიკურად და თანმიმდერულად ჩამოყალიბებული. საჭიროებიდან გამომდინარე დასკვნებზე დაყრდნობით წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც დარგის განვითარებას უკავშირდება

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

9. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა - კვლევის პროცესში გამოკვეთილ მიგნებებს გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა და აქვს დარგის აქტუალური პრობლემების გადაჭრის პოტენციალი

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამებამოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

10. მართლმადიდებლურ სწავლებასთან შესაბამისობა - ნაშრომის შინაარსი სრულად შეესაბამება მართლმადიდებლურ სწავლებას

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

დანართი N2 შეფასების უწყისი

სადოქტორო პროგრამა

_____

დოქტორანტი

_____

სადოქტორო ნაშრომის სახელწოდება

_____

შეფასების კომპონენტი	შეფასება
1.საკვლევი თემის აქტუალურობა	
2. ნაშრომის სტრუქტურა	
3. კვლევის მეთოდოლოგიის ადეკვატურობა	
4. კვლევის ხარისხი	
5. სადოქტორო კვლევის მიზნები	
6. ლიტერატურისა და წყაროების დამუშავება	
7. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე	
8. დასკვნების კვლევის მიზნებთან შესაბამისობა	
9. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა	
10. მართლმადიდებლურ სწავლებასთან შესაბამისობა	
გადაწყვეტილება	
დასკვნა და რეკომენდაციები	

ექსპერტის/რეცენზენტის ხელმოწერა _____

თარიღი _____